

სახელური ნეგაცია ქართულ ჟესტურ ენაში

თამარ არჩვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება



სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მახაროზიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ არჩვაძე

26.06.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქართულ ჟესტურ ენაში სახელური ნეგაციის მაწარმოებელი ოთხი ჟესტის („არა“, „ვერა“, „სიცარიელე“, „გარეშე“) მორფოსემანტიკური მახასიათებლებისა და მათ შორის მსგავსებისა თუ განსხვავებების გამოვლენა. ამისთვის ჩატარდა სალექსიკონო კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა ნეგაციის ჟესტის შემცველი ლექსიკონში არსებული ყველა ერთეული, გამოვლენილი შედეგები გადამოწმდა ჟესტურად მოსაუბრეზე დაკვირვებით და, საბოლოოდ, ნეგაციის მაწარმოებელი ჟესტები შეფასდა აფიქსთა ძირითადი პარამეტრების მიხედვით იმის დასადგენად, თუ რომელია მათგან აფიქსი და რომელი ნაწილაკი. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა აფიქსთა განმასხვავებელი ზოგიერთი დეტალი და არაერთი მსგავსება, რომელიც ხშირად განაპირობებს, რომ საუბრის დროს ისინი ერთმანეთს ანაცვლებს. სწორედ ამ ნეგაციის ჟესტთა მორფოსემანტიკური ანალიზი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართულ ჟესტურ ენას აქვს ნეგაციის დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც არ იმეორებს სამეტყველო ქართული ენის მახასიათებლებს. მოცემული კვლევის შედეგები შემდგომში შესაძლოა შესაძლოა გამოყენებული იყოს ტიპოლოგიური შესწავლისა თუ ენის სტანდარტიზაციისთვის საჭირო კვლევების წინაპირობად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნეგაცია, სახელური ნეგაცია, დერივაცია ჟესტურ ენებში, ქართული ჟესტური ენა.

Abstract

The present paper aims to find out the morphosemantic features of the following four negation signs (NO, CANNOT, VOID, WITHOUT) in Georgian Sign Language (GESL) and the similarities or differences between them. For this reason, a lexical study was conducted. Each

lexical unit (nominals containing a negation sign) from the Georgian Sign Language Dictionary is analyzed. The results are rechecked by observing the signer, and finally, the common affix parameters are applied to each negation sign in order to determine which of them might be considered as an affix or which of them is a particle. The study revealed some of the differences in the morphosemantics of each affix and a number of similarities that often cause that signers switch between these affixes. The morphosemantic analysis of these negation signs allows us to conclude that the Georgian Sign Language has an independent system of negation that does not resemble the characteristics of the spoken Georgian. The results of the present study might be useful for further studies, such as typological research or studies needed for language standardization.

Key Words: negation, nominal negation, derivation in sign languages, Georgian Sign Language, GESL.

მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფ. თამარ მახარობლიძეს, რომლის რჩევებიც დამეხმარა წინამდებარე ნაშრომის შესრულებასა და დახვეწაში. აგრეთვე, მადლობას ვუხდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს შესაბამისი აკადემიური ცოდნისთვის.